ადნიშნული საკითხის სრულყოფილი საინიცირო დამუშავების სანიმუშო (სარეკა-მენდაცი) მიმართულების ჩამოყალიბებისათვის შერჩეულია შესაბამისი ბუნებრივ-საწარმოო პირობები, რომ დამუშავების დამახასიათებელია საქართველოს ისეთი მთავრობის რეგიონებისათვის, როგორებიცაა რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი და ა.შ. მოდელის ხახით კი განხილულია ამოცანა, რომელიც სოფლის მეურნეობის საინიცირო-ტექნიკური სამსახურის წინაშეა დასმული: მთავრობის პირობებში ს დღეში უნდა მოიხსნას 150 პა მიწის ფართობი. ამასთან, ხარისხისანი ხვინის პროცესის შესრულება უნდა მოხდეს არსებული რესურსების უმცირესი დანახარჯებით.

საკითხის პრობლემურობა განპირობებულია რიგი ისეთი კანონმდებლების გათვალისწინების ხილოებით, რომელიც უზრუნველყოფებ მსგავსი პროცესების სწორ, ოპტიმალურ და ზედმეტი თვეორიული ან პრაქტიკული შრომითი დანახარჯების გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობას. კერძოდ, შესაბამისი კვლევებით და პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის გაწეული კუთრი დანახარჯები (ფართობი ერთეულზე) მინიმალურია მაშინ, როდესაც 0,5...1,0 პა სიდიდის ფართობზე ენერგეტიკულ საშუალებებიდან გამოყენებულია მოტობლოკი (საშ. სიმძლავრით 4 კვტ) ან მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი (6...15 კვტ), 1,0...1,5 პა-ზე – მცირე სიმძლავრის (18...20 კვტ) ტრაქტორი, 1,5...5,0 პა-ზე – საშუალო სიმძლავრის (60 კვტ), ხოლო 5,0 პა-ზე ზევით – მძლავრი (100 კვტ და მეტი) ტრაქტორი [4]. ამრიგადი იმის გათვალისწინებით, რომ მცირეკონტრიანი ნაკვეთები უმეტესად 0,5 პა და ზოგჯერ უფრო მცირე ფართობებზეა განლაგებული, საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტისათვის ენერგეტიკული ს შესრულებები შეირჩეს უნდა იქნეს მოტობლოკების და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ნომენკლატურიდან.

დადგენილია აგრეთვე, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მოელი ს მუშაო ციკლიდან უკელაზე შრომატევადი და ენერგოტევადი ნიადაგის დამუშავების ოპერაციების რომელთა შესრულებაზე მოდის მთლიანად დანახარჯული საშვავის 20...60% და ენერგიის 40...70% [2]. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნიადაგის დამუშავების როგორც რაციონალურ გირების შერჩევა, ისე ამისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური ვარიანტების სწორი განსაზღვრა.

საკითხის გადაწყვეტა ემყარება შემდეგი მოთხოვნების შესრულებას:



1. საჭიროა დადგინდეს ის ბუნებრივ-საწარმოო პირობები, რომელშიც უნდა შესრულდეს ნიადაგის ხენის ტექნოლოგიური პროცესი;
2. საინირო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროცესის აგროტექნიკურ ვადებში, ხარისხისა და რესურსების უმცირესი დანახარჯებით შესრულება;
3. ტექნიკური საშუალებების არსებული ნომენკლატურიდან უნდა შეირჩეს ენერგეტიკული საშუალებების და გუთნის მარკების ეფექტური ვარიანტები;

4. ანგარიშის საფუძველზე უნდა განისაზღვროს სახენავი აგრეგატების საჭირო რაოდენობა;
5. საჭიროა სწორად განისაზღვროს მუშაობის ორგანიზაციული ფორმის და აგრეგატების მოქრაობის წესის რაციონალური ვარიანტები.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა შემდეგი:

ა. სახენავი აგრეგატების სამუშაო ბუნებრივ-საწარმოო პირობები:

1. ერთეული ნაკვეთის საშუალო ფართობი  $F_{\text{საშ}} = 0,65 \text{ ჰა}$ ;

2. საქცევის საშუალო სიგრძე  $L_{\text{საშ}} = 200 \text{ მ}$ ;

3. ნაკვეთების საშუალო დახრილობა  $a_{\text{საშ}} = 5^{\circ}$ ;

4. ადგილობრივი პირობების გამოვალისწინებელი კოეფიციენტი  $K_{\text{კ}} = 0,85$ ;

5. გუთნის საშუალო კუთრი წინაღობგა  $K_{\text{გ}} = 50 \text{ კნ/მ}^2$ ;

6. ცვლიანობის კოეფიციენტი  $K_{\text{ცვლ}} = 1,5$ ;

7. კლიმატური პირობების გამოვალისწინებელი კოეფიციენტი  $K_{\text{კლ}} = 0,8$ ;

ბ. პრობლემის გადაწყვეტა ემყარება სისტემურ მეთოდს, ძირითადი პრობლემა კი იყოფა ურთიერთდაგაშირებულ ცალკეულ ქვესისტემებად (ქვესაკითხებად): თერაცია უნდა შესრულდეს დაღენილ აგროგადებში, ხარისხიანად და რესურსების უმცირესი დანახარჯებით.

თოთოეულ საკითხს თავისი რესურსდაზოგვის კრიტერიუმი აქვს, რომელიც ავსებს წინა რესურსების ეკონომიკურ მაჩვენებლებს. სახენავი აგრეგატების შესაძლო ვარიანტები ქვესაკითხებში ძირითადად ფასდებიან მასალატევადობით და ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედებით (დატკეპნა, ქრონია); შემდეგ დაგინდება ენერგეტიკული საშუალებების ოპტიმალური სიმძლავრე, რომელიც მოცემულ პირობებში უზრუნველყოფს დაყვანილი დანახარჯების მინიმუმს აგრეგატის შესაძლო მაღალი მწარმოებლობის დროს. ოპტიმალური სიმძლავრის მიხედვით კი შეირჩევა ენერგეტიკული საშუალების (ტრაქტორი, მოტობლოგი) მარკა. აგრეგატის სამუშაო სიჩქარე და მოდების განის მნიშვნელობები განისაზღვრებიან აგრეგატის სამუშაო სელის დროს საწვავის ხარჯის მინიმუმის პირობიდან გამომდინარე (წევის წინაღობაზე სიჩქარის გავლენის გათვალისწინებით).

რესურსდაზოგვის შემდგომი გაუმჯობესება მიიღწევა აგრეგატების მთლიანი საჭირო რაოდენობისა და ერთი ნაკვეთის ფარგლებში მათი რაციონალური რაოდენობის განსაზღვრის გზით. ბოლო საკითხია აგრეგატის მოძრაობის რაციონალური წესის და საქცევის ოპტიმალური განის შერჩევა, რომელიც აგრეგატის უქმი სელების მინიმუმის პირობას ემყარება.

ნიადაგის ბელტის გადაბრუნებით ან გადაბრუნების გარეშე ხენის აგროტექნიკური მოთხოვნები შეესაბამებიან მემცნენარეობაში მექანიზებული სამუშაოების წარმოების საერთო წესებს. ამასთან, ხენის ოპერაციის აგროტექნიკური მოთხოვნების სრული შესაბამისობით შესრულება (აგროგადები, დამუშავების ხარისხი) განაპირობებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსის ოპტიმალური რეალიზებას – საწარმოებელი კულტურის ოპტენციური მოსავლიანობის უზრუნველყოფას.

აგრეგატების მასალატევადობის და ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედების შევასება რეკომენდებულია მოხდეს მათი შემადგენლობის განსაზღვრის შემდეგ, მწარმოებლობის და საექსპლუატაციო დანახარჯების მიხედვით.

გ. ენერგეტიკული საშუალების და გუთნის მარკების ეფექტური ვარიანტები:

ეფექტური მარკის ენერგეტიკულ საშუალებად იგულისხმება ისეთი საშუალება (მოტობლოგი ან ტრაქტორი), რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ საექსპლუატაციო დანახარჯებს შესაძლო მაღალი მწარმოებლობის პირობებში.

რესურსდაზოგვის ძირითად კრიტერიუმად რეკომენდებულია შეირჩეს დაყვანილი დანახარჯების მინიმუმი:

$$C_{\text{დ}} = (C/W_{\text{სთ}}) \rightarrow \min \quad \text{ლარი/ჰა} \quad (1)$$

სადაც  $C$  არის მუშაობის დროის ერთეულზე მოსული დანახარჯები, ლრ/სთ;  $W_{\text{სთ}}$  – საათური საექსპლუატაციო მწარმოებლობა, ჰა/სთ;  $C_{\text{დ}}$  და  $W_{\text{სთ}}$  მნიშვნელობები გამოისახებიან ენერგეტიკული საშუალების სიმძლავრის ფუნქციაში, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც აგრეგატის განსაზღვრებული პარამეტრი [1,6]. შესაბამისად  $C_{\text{დ}}$  შეიძლება წარმოიდგენილი იქნეს  $C_{\text{დ}} = f(N_{\text{ტ}})$  ფუნქციის სახით.

$dC_{\text{სთ}} / dN_{\text{ტ}} = 0$  პირობის მიხედვით შესაძლებელია იმ ოპტიმალური  $N_{\text{ტ,opt}}$  სიმძლავრის განსაზღვრა, რომელიც მოცემულ პირობებში უზრუნველყოფს სახენავი აგრეგატის მუშაობას  $C_{\text{დ,min}}$  დანახარჯებით.

ზოგადად  $C_{\text{დ}} \rightarrow \min$  კრიტერიუმს შეესაბამებიან შედარებით დაბალი სიმძლავრე და აგრეგატის არასაკმარისი  $W_{\text{სთ}}$  მწარმოებლობა. ამიტომ, მიზანშეწონილია კომპრომისული გადაწყვეტილების გამოყენება, რომლის დროსაც  $C_{\text{დ,min}}$ -თან შედარებით ხარჯების არც ისე დიდი ზრდის ( $\Delta C$ ) პი-



რობებში შეიძლება მიღებული იქნეს კომპრომისული სიმძლავრე  $N_{\text{б.жм}} > N_{\text{б.опт}}$  და შესაბამის აგრეგატის უფრო მაღალი მარტინგაზე მდგრადი მარტინგაზე [1, ნახ. I].

მოცემულ პირობებში გამოსაყენებელი ენერგეტიკული საშუალების ოპტიმალურული მისულ სიმძლავრეებს  $\Delta C = 0,05$ -ის პირობისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობები: გრაფიკით:

1. მოტობლოკებისათვის –  $N_{\text{б.опт}} = 3 \dots 4$  კვტ;  $N_{\text{б.жм}} = 3,15 \dots 4,20$  კვტ.

2. მცირებაბარიტიანი ტრაქტორებისათვის –  $N_{\text{б.опт}} = 6 \dots 10$  კვტ;  $N_{\text{б.жм}} = 3,15 \dots 4,20$  კვტ. კომპრომისული სიმძლავრეების მიხედვით ვიწრევთ:

1. მოტობლოკს MTZ – 0,5, ნომინალური სიმძლავრით  $N_{\text{б.жм}} = 3,68$  კვტ, (საშუალო კომპრომისულ სიმძლავრე  $N_{\text{б.жм}} = 3,67$  კვტ). ამ მოტობლოკთან აგრეგატირდება საკიდი გუთანი ПЛ – 1, რომელ საშუალო მოდების განი შეადგენს 18...25 სმ-ს, დამუშავების სიდრო – 20 სმ-მდე, სამუშაო სიჩქარე – 4 კმ/სთ-მდე.

2. მცირებაბარიტიან ტრაქტორს „ქუთაისი – 718“, რომლის ნომინალური სიმძლავრე  $N_{\text{б.жм}} = 1$  კვტ (საშუალო კომპრომისული სიმძლვარე  $N_{\text{б.жм}} = 8,4$  კვტ). ამ ტრაქტორთან აგრეგატირდება ერთკორპუსიანი საკიდი გუთანი AMЖК – 8, რომლის მოდების განი 25 სმ-ია, სამუშაო სიჩქარე – კმ/სთ-მდე [8].

საექსპლუატაციო გაანგარიშებებში მიღებულია, რომ 5 კმ/სთ-ზე მეტი სამუშაო სიჩქარის ჩვეულებრივი (არაჩქაროსნული) სახნავი აგრეგატებისათვის ყოველ 1 კმ/სთ-ზე კუთრი წინაღობა საშუალო იზრდება 0,5%-ით, რაც იწვევს ენერგეტიკული საშუალების წევითი სიმძლავრის შესაბამისად საწვავის კუთრი ხარჯის ზრდას. ამის გათვალისწინებით, სამუშაო სიჩქარედ ვიზრებ  $V_{\text{სამ}} = 2,5$  კმ/სთ-ს, ანუ საწვავის კუთრი ხარჯი მოტობლოკისათვის უნდა შემცირდეს 7,5%-ით, ხოლ მცირებაბარიტიანი ტრაქტორისათვის – 2,5%-ით. აგრეგატების მარტობლობაზე აღნიშნულ ცვლილების ზეგავლენის კომპენსირება შესაძლებელია პროცესის შესრულებაზე მოქმედი ორგზის ზარიული ფაქტორების გაუმჯობესებით და სამუშაო დროის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფით, ანუ ცვლის დროის გამოყენების კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობის შენარჩუნების ( $t=0,75 \dots 0,85$ ).

დ. სახნავი აგრეგატების საჭირო რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით [7]:

$$n_s = F_{\text{ж}} / (D_{\text{б.ж}} \cdot W_{\text{დღ}}) = F_{\text{ж}} / (D_{\text{ж}} \cdot a_{\text{ж}} \cdot W_{\text{ცვლ}} \cdot K_{\text{ცვლ}} \cdot K_{\text{გ}}) \quad (1)$$

სადაც  $F_{\text{ж}}$  არის დასახნავი ნაკვეთის საერთო ფართობი,  $F_{\text{ж}} = 150$  ჰა;  $W_{\text{დღ}}$  და  $W_{\text{ცვლ}}$  – მულ პირობებში აგრეგატის დღედამური და ცვლის გამომუშავება, ჰა;  $D_{\text{б.ж}}$  და  $D_{\text{ж}}$  – კალენდარულ და სამუშაო დღების რაოდენობა;  $a_{\text{ж}}$  – კალენდარული დღეების გამოყენების კოეფიციენტი,  $a_{\text{ж}} = 0,75$ ;  $K_{\text{ცვლ}}$  – ცვლიანობის კოეფიციენტი,  $K_{\text{ცვლ}} = 1,5$ ;  $K_{\text{გ}}$  – გარემო პირობების გამოვალისწინებულ კოეფიციენტი,  $K_{\text{გ}} = 0,85$ .

$W_{\text{დღ}}$  და  $W_{\text{ცვლ}}$ . შეიძლება განვსაზღვროთ გამოსახულებით:

$$W_{\text{ცვლ}} = W_{\text{სთ}} \cdot T_{\text{ცვლ}} \frac{\text{ჰა/ცვლ}}{\text{ცვლ}}$$

$$W_{\text{დღ}} = W_{\text{ცვლ}} \cdot n_{\text{ცვლ}} \cdot K_{\text{ცვლ}} \frac{\text{ჰა/დღ}}{\text{ცვლ}}$$

სადაც  $W_{\text{სთ}}$  არის აგრეგატის საათური მარტინგაზე ბლობა

$$W_{\text{სთ}} = 0,1 \cdot B_{\text{სამ}} \cdot V_{\text{სამ}} \cdot \tau \frac{\text{ჰა/სთ}}{\text{ცა}}$$

$T_{\text{ცვლ}}$  – ცვლის ნორმატიული დრო,  $T_{\text{ცვლ}} = 8$  სთ;  $K_{\text{ცვლ}}$  – ცვლიანობის კოეფიციენტი,  $K_{\text{ცვლ}} = 1,5$ ;  $B_{\text{სამ}}$  – აგრეგატის სამუშაო მოდების განი, ჰა;  $V_{\text{სამ}}$  – აგრეგატის სამუშაო სიჩქარე, კმ/სთ.

შერჩეული აგრეგატებისათვის საძიებელი სიდიდეები შეადგენს:

1. მოტობლოკური აგრეგატებისათვის

$$W_{\text{სთ}} = 0,043 \frac{\text{ჰა/სთ}}{\text{ცა}}; \quad W_{\text{ცვლ}} = 0,34 \frac{\text{ჰა/ცვლ}}{\text{ცვლ}}; \quad W_{\text{დღ}} = 0,43 \frac{\text{ჰა/დღ}}{\text{ცვლ}}$$

2. სატრაქტორო აგრეგატებისათვის

$$W_{\text{სთ}} = 0,053 \frac{\text{ჰა/სთ}}{\text{ცა}}; \quad W_{\text{ცვლ}} = 0,42 \frac{\text{ჰა/ცვლ}}{\text{ცვლ}}; \quad W_{\text{დღ}} = 0,54 \frac{\text{ჰა/დღ}}{\text{ცვლ}}$$

დასამუშავებელი ნაკვეთების საშუალო ფართობი 0,65 ჰექტარია და მათი სიდიდე (ერთეულ ნაკვეთის) ცვალებადობს 0,3...1,0 ჰა ზღვრებში. თუ 0,3...0,6 ჰა-მდე ფართობებზე გავითვალისწინები მოტობლოკების გამოყენებას, ხოლო 0,6...1,0 ჰა ფართობებზე გამოვიყენებოთ მცირებაბარიტიან ტრაქტორებს, მაშინ, იმის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთების საერთო რაოდენობის (231-მდე) უმეტესობა (140) 0,6...1,0 ჰა სიდიდისაა, მოტობლოკებისათვის დასამუშავებელი ფართობის სიდიდე შეადგენს 4 ჰა-ს, ხოლო მცირებაბარიტიანი ტრაქტორებისათვის – 112 ჰა-ს.

ამრიგად, (2) ფორმულის მიხედვით სახნავი აგრეგატების საჭირო რაოდენობა შეადგენს:

მოტობლოკებისათვის  $n_s = 8$ ;

მცირებაბარიტიანი ტრაქტორებისათვის  $n_s = 17$ .

ე. აგრეგატების მუშაობის რაციონალური ორგანიზაციული ფორმის და მოძრაობის წევის შერჩევა:

აგრეგატების მუშაობა ორგანიზებული უნდა იყოს ისეთი სახით, რომ თითოეული ნაკვეთ დამუშავდეს მინიმალური სამუშაო დღეების  $D_{\text{სამ}}$  მთელი რიცხვით, ე. ი. სხვა ნაკვეთებზე სამუშაო დღის განმავლობაში გადასვლის გარეშე. ამ მიზნით საჭიროა განისაზღვროს ერთეული ნაკვეთ დამუშავებისათვის საჭირო აგრეგატების რაოდენობა, რომლის მნიშვნელობა მოტობლოკებისათვის

შედგენს  $n_{s1}=1$ , ხოლო მცირებაბარიტიანი ტრაქტორებისათვის  $n_{s2}=2$  (ანგარიშის მიხედვით  $n_{s2}=1,5$ ). გაანგარიშება შესრულებულია ერთ სამუშაო დღეზე.

ამრიგად, ერთ ნაკვეთზე უნდა იმუშაოს არაუმტებეს ორმა სატრაქტორო აგრეგატმა, რამათზე წინ მიმავალი აგრეგატის გამო დროის დანაკარგების გამორიცხვისათვის უმჯობესია თმორულება აგრეგატმა იმუშაოს ცალკე საქცევზე.

ხენის ოპერაციაზე საწვავის ხარჯის შემცირებისათვის სამუშაოების ძირითადი მოცულობა უნდა შესრულდეს ნიადაგის მექანიკური სიმწიფის პერიოდში, რომელიც განისაზღვრება ნიადაგის ტენიანობის  $W$ -ს მიხედვით. ნიადაგის ტენიანობასა  $W$  და სახნავი აგრეგატის კუთრ წინაღობას  $K$ -ს შორის დამოკიდებულების მიხედვით კი შესაძლებელია ოპტიმალური მდგრმარეობის დადგენა (1,6 - ნახ. 2).

ნიადაგის მექანიკური სიმწიფის პირობებში შესრულებული ხვნა დადებით გავლენას ახდენს ფაიო სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობაზე.

სახნავი აგრეგატების მორჩაობის უფრო რაციონალური წესია საქცევების მონაცემლეობა. ამასთან, კერტი საქცევები მუშავდებიან მარცხნიდან მარჯვნივ ნაზურგად, ხოლო ლუწები - მარჯვნიდან მარცხნივ ნაღარად. ამ დროს საქცევების უმცირესი რიცხვია სამი (პირველი და მესამე საქცევები მუშავდებიან ნაზურგად, მეორე - ნაღარად), როდესაც წარმოიქმნება თითქმის ორჯერ ნაკლები ნაზურგის თხემები და ნაღარის კვლები.

ვინაიდან ჩვენს შემთხვევაში სამუშაო ნაკვეთის ორ საქცევიანი ვარიანტი გვაქვს (მცირებაბრიტიანი ტრაქტორებისათვის), პირველ საქცევზე დამუშავება უნდა მოხდეს მარცხნიდან მარჯვნივ ნაზურგად, ხოლო მეორე საქცევზე - მარჯვნიდან მარცხნივ ნაღარად. ამ დროს წარმოიქმნება ნაზურგი თხემების და ნაღარი კვლების თანაბარი რაოდენობა.

უქმ სვლებზე დროისა და საწვავის ხარჯის შემცირებისათვის საჭიროა საქცევის იმ ოპტიმალური განის  $C_{opt}$  დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს აგრეგატის უქმ სვლებზე გავლილ მინიმალურ  $S_{opt,min}$ . მანძილს და მუშა სვლების მაქსიმალურ  $\Phi_{max}$  კოეფიციენტს.

$C_{opt}$ -ის რიცხვითი მნიშვნელობა აგრეგატის მოდების განის  $B$  და საქცევის სიგრძის  $L$  ფუნქციაში შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულის მიხედვით [6]:

$$C_{opt} = 1,41 \sqrt{1110 + 2 \frac{L}{B}} \quad (6)$$

მოტობლობური აგრეგატებისათვის  $C_{opt1} = 15,7$  მ, ხოლო სატრაქტორო აგრეგატებისათვის -  $C_{opt2} = 18,35$  მ.

საქცევის ოპტიმალური განი უნდა იყოს აგრეგატის ორმაგი მოდების განის ჯერადი. საქცევის ოპტიმალური განის ნაანგარიშევი მნიშვნელობების ამ მოთხოვნის შესაბამისი დაზუსტების შემდეგ დებულობთ:  $C_{opt1} = 16$  მ და  $C_{opt2} = 19$  მ.

**დასკვნა.** 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის ბუნებრივ-საწარმოო პირობების მრავალფეროვნება განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო პროცესებზე მოქმედი ყოველი კონკრეტული გარემო ფაქტორებისადმი ინდივიდუალური მიღების აუცილებლობას. მოკლე ანალიზის საფუძვლზე დასაბუთებულია საკითხის მნიშვნელობა მთიანი ზონების სამუშაოები საქმიანობის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობის გაუმჯობესებისათვის და განსაზღვრულია მისი დამუშავების მიზანი და ამოცანები.

2. დასმული საკითხის გადაწყვეტა პირველ რიგში ექვარება მოცემულ ეტაპზე ქვეყნის სოფლის მეურნეობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა ნომენკლატურიდან საექსპლუატაციო თვისებების და ტექნიკურ შესაძლებლობათა მიხედვით რაციონალური ვარიანტების შერჩევის პრიციპებს, სახნავი აგრეგატების სწორ დაკომპლექტებას და გარემო პირობების შესაბამისად მათი ოპტიმალური სამუშაო რეჟიმების განსაზღვრას.

3. რესურსების მინიმალური ხარჯის კრიტერიუმის გათვალისწინებით შერჩეულია შესაბამისი ენერგეტიკული და ტექნოლოგიური მანქანები, განსაზღვრულია მათი საჭირო რაოდენობა, საექსპლუატაციო მაჩვენებლები და რესურსდამზოგი გამოყენების სარეკომენდაციო დონისძიებები.

მუშაობის ორგანიზაციის და აგრეგატების მომრაობის შერჩეული ფორმა და წესი უზრუნველყოფების სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას და საწვავის ხარჯის ოპტიმალურ მნიშვნელობებს.

### გამოყენებული დიტერატურა

1. ბ. ბასილაშვილი, მ. მახაური, (1997), მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაცია. პროფესიული სამუშაოები, ნაწილი I - საწარმოო ექსპლუატაცია. თბილისი, გვ. 110.

2. ბ. ბადრიძე და სხვ., (2004), ნიადაგის დამუშავების სამანქანო ტექნოლოგიების ენერ-გეტიკული შეფასება. საქ. სმეცხევის სამეცნიერო მრომათა კრებული. თბილისი, გვ. 66-74.

3. რ. მახარობლიძე, თ. იაშვილი, (2000), სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები. თბილისი, გვ. 199.

4. რ. მახარობლიძე, გ. ჩიგაია, გ. დალაქიშვილი, (2005), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საჭირო ტექნიკის რაოდენობის ანგარიში წევის კლასის გათვალისწინებით. საქ. სმეცხევის სამეცნიერო მრომათა კრებული. თბილისი, გვ. 42-51.

5. გ. ტალახეძე, პ. მინდელი, (1980), საქართველოს მაღალმთიანეთის ნიადაგები. თბილისი „ნაკართველობა“, გვ. 176.

6. ანანინ ა. დ. დრ., (1993), Сборник профессиональных задач по механизации сельского хозяйства. М. во МСХА. с.219.

7. Иофинов С. А., Лышко Г. П., (1984), Эксплуатация машинно-тракторного парка. М. "Колос" с.351.

8. Средства малой механизации для сельскохозяйственного производства. Каталог. М., 1990. с.45.

## Инженерное обеспечение ресурсосберегающего применения пахотных агрегатов на мелкоконтурных участках

Басилашвили Б.Б., Натрошивили Д.  
Джавахишвили Н.Г., Гургенидзе Д.К. (ПА)

Природно-климатические условия гористых зон и почвенный состав существующих там сельскохозяйственных угодий дают возможность качественного и высокоурожайного производства продукции. Однако, из-за высокой доли ручного труда, низкого уровня механизации и недостаточного инженерно-технического обеспечения, полная реализация этой возможности не происходит, вследствие чего имеем и соответствующие сопутствующие отрицательные результаты (ухудшение социально-экономических условий, миграция людей и т.д.).

По конкретным производственным условиям, выбранного в качестве модельного объекта, подобраны соответствующие технические средства (в основном из средств малой механизации), на основе теоретических расчетов определены отдельные их эксплуатационные показатели и необходимое количество агрегатов, с учетом критерия минимальности расхода ресурсов выбраны рациональные формы организации работы агрегатов и правила их движения, которые обеспечивают оптимальные значения расхода энергии, горючего и времени.

### Engineering Maintenance of Resource Saving Use of Plowing Units on Small Plots

B. Basilashvili, D. Natroshvili  
N. Javakhishvili, D. Gurgenidze (GAU)

According to the definite working conditions, chosen as a model, are picked up corresponding means (basically from means of mechanization of auxiliary operations), on the basis of theoretical calculations are defined their separate operational indicators and necessary quantity of units. With the account of criteria of minimality of the resources expense are chosen the rational forms of units' work and their movement, which provide optimum values of the power, fuel and time consumption.

## მრავალცლის ნარჩვების რიგთაშორისებრი გაკორდებული ნიადაგების სარეალიზაციო ტექნიკური საშუალებას კონსტრუქციული სერიის დამუშავება

6. ჯაგანაშვილი, გ. წიგვილაძე (სსმუ)  
ს. საათაშვილი, ნ. კაპანაძე (სსმ)

გამკვრივებულ-გაკორდებული ნიადაგების დამუშავების თანამედროვე მდგრადირობის ანალიზის საფუძვლები დასაბუთებულია შესაბამისი რაციონალური ტექნიკური საშუალების შექმნის მიზანშეწონილობა. შექმნის ასეთი ნიადაგების დამუშავებული კომბინირებული მანქანის კონსტრუქციული სქემა და განსაღებულია მისი ძირითადი პარამეტრები.

**შესავალი.** საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო ეკონომიკურ ბალანსში მნიშვნელოვანი წილი მრავალწლიან კულტურებს აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურების მოვალეობის სამუშაოებში ხელით შრომის წილი ჯერ კიდევ მაღალია, მათი მოწყობა-განაშენიანების რიონთადად ისეთია, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი მექანიზებულია და მობილური ტექნოლოგიური მანქანების გამოყენებით სრულდება (რიგთაშორისებრი ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანი ქიმიური ოპერაციები და სხვ.). მობილური ენერგეტიკული საშუალებების მცენარეთა რიგთაშორისებრი მრავალჯერადი მოძრაობა იწვევს გამკვრივებული ნაკვალევის წარმოქმნას, რომელიც გარკვეულ დროში ტექნოლოგიური ლიანდის სახეს იძებს. გარდა ამისა, მცენარეთა რიგთაშორისების მრავალწლიანი დაუმუშავება ნიადაგების გაყამირება-გაკორდებას და მათი სტრუქტურიანობის სრულ მოშლას იწვევს, რაც წარმოშობს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას მათ ნორმალურ მდგრადირებაში დასაბორუნებლად.

ნიადაგმცოდნეობაში არსებული კვლევებისა და მიწამოქმედების მექანიკით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად, იმ ნიადაგების მოცულობითი მასა, სადაც გაშენებულია მრავალწლიან კულტურები, უნდა შეადგენდეს 0,8...0,9 გრ/სმ<sup>2</sup>. ენერგეტიკული საშუალებების მოძრაობის შედევრი ლიანდის ქვეშ ნიადაგის სიმკვრივე 1,2...1,3 გრ/სმ<sup>2</sup>-ს აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აღღვევს მცენარის ზრდა-განვითარების ნორმალურ პირობებს და საჭირო ხდება ამ ზოლების პერიოდული ღრმა გაფხვიერება. გარდა ამისა მიზანშეწონილია ყოველ ორ-სამ წელიწადში მოხდეს სხვადასხვა წესოდამუშავებული (კულტივაცია, ფრეზირება და ა.შ.) ნიადაგის ისეთი დამუშავება, რომ ნიადაგის

ქვედა ნაწილები ამოტრიალდნენ და მოუქცნენ ზემოთ, ვინაიდან ნიადაგის უწერილესი (0,001 მმ-ზე ნაკლები) სასარგებლო კოლოიდური ნაწილაკები წვიმის ზემოქმედებით ჩაირცხულია და გრეზ-ლებიან ნიადაგის ქვედა ფენებში [2, 3].

**თბიერტი და მეთოდი.** იმის გათვალისწინებით, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს მოვდება მოყვანის მთელ სამუშაო ციკლში კველაზე შრომატევადი და ენერგოტევადი ნიადაგის დამუშავების ოპერაციებია, რომელთა შესრულებაზე საწვავის მთლიანი ხარჯის 20...60% და ენერგიის 40...70% მოდის [1, 4], გაკორდებული ნიადაგების დამუშავების როგორც ტექნიკური საშუალებების, ისე ტექნოლოგიური ღონისძიებების სრულყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მემცნენარეობის ცალ-შული დარგების უფასესობისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მიწათმოქმედებაში ნიადაგის დამუშავების სამი სახიდან (ძირითადი, ზე-დაპირული და სპეციალური დამუშავება). მცენარეთა რიგთაშორისებში გამკვრივებული ნიადაგის დამუშავება, აგრეთვე გაყამირებულ-გაკორდებული ნიადაგების გაფხვიერება სპეციალურ დამუშავებას მიეკუთვნება, ვინაიდან ამ დროს საჭიროა ნიადაგის დიდ სიღრმეზე დამუშავება, რათა შეიქმნას მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობები.

ნიადაგდამატუშავებელი მანქანის სამუშაო პირობებს განსაზღვრავენ ნიადაგის ისეთი ტექნოლოგიური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, როგორებიცაა ნიადაგის მექანიკური შედგენილობა, ტენიანობა, სიმკვრივე, კუთრი წინაღობა, წებოვნება, წინაღობა ძვრაზე, სრიალის ხახუნი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ნიადაგის დამუშავების რაციონალური მეთოდისა და შესაბამისი მუშაო რეგანოს შერჩევისათვის, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ნიადაგდამატუშავები მანქანების საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე (სამუშაო მოდების განი, სამუშაო სიჩქარე, მწარმებლურობა და სხვ.).

ნიადაგის გაფხვიერების შედეგად იცვლება მანძილი ნიადაგის ნაწილებს შორის და მათი ზომები, რის შედეგად უმჯობესდება წყლის და ჰაერშედწევის პროცესი, იზრდება ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობა. გაფხვიერების ხარისხი ფასდება გაფხვიერებული შრის სისქის  $a_2$ -ის ფარდობით მის საწყის სისქესთან  $a_1$ ; გაფხვიერებისას  $a_2/a_1 > 1$ .

მოცემულ ეტაპზე საქართველოს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მემცნენარეობის დარგის სამქანიზაციო საშუალებათა ტექნიკური დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს, რაც უარყოფითად ზემოქმედებს საერთო ეროვნულ შემოსავალზე, ვინაიდან მის ყოველ ფულად ერთეულზე იხარჯება 4,5-ჯერ მეტი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ვიდრე აშშ-ში და 6,8-ჯერ მეტი ვიდრე იაპონიაში. ამასთან, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება 5-ჯერ უფრო ენერგომცემელი და 4-ჯერ უფრო ლითონურმეცველია ვიდრე აშშ-ის [1, 2].

ადნიშნული კითარება განაპირობებს არსებული ტექნიკური საშუალებების სისტემატური სრულყოფის აუცილებლობას.

**შედეგები და მათი განხილვა.** მოცემულია მრავალწლიანი კულტურების რიგთაშორისებში გამკრივებულ-გაკორდებული ნიადაგების დრმა გაფხვიერების (35...40 სმ) ტექნოლოგიური მარტივის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალების კონსტრუქციული დამუშავების საკითხი, რომელიც ავტორთა მონაწილეობით საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტრუქტურის (სსმები) შესრულებული.

როგორც ცნობილია [4], ყოველგვარი მანქანა-იარაღის მიმართ მოთხოვნა დადის შემდეგი ორი კოტების სრულყოფილი პასუხის მონახვაზე: 1. როგორი ფორმა უნდა ქონდეს მანქანა-იარაღის მუშა ნაწილს სამუშაოს სრულყოფილი შესრულებისათვის და 2. როგორი უნდა იყოს მანქანა-იარაღის შემაგენელი ნაწილების (მუშაც და არამომუშავეც) ზომები და განლაგებები რომ ძალის უმცირესი დანახარჯით ყველაზე უფრო მოხერხებული იყოს მანქანა-იარაღის მუშაობა და მართვა.

პირველი ნაწილი გეომეტრიული, ანუ კინემატიკური ხასიათისაა და დასამუშავებელი მასალის კონფიგურაციის ცვლილებას და მუშა ორგანოს მიერ სამუშაოს ხარისხის მიხედვით მისი ნაწილების გადაადგილებას სწავლობს იმის მიუხედავად, თუ რა სიდიდის ძალები მოქმედებენ და როგორია მათი ხარჯი.


მეორე ნაწილი მექანიკური, ანუ დინამიკური ხასიათისაა და მუშაობის რაოდენობას განსაზღვრავს მუშა ორგანოს ნაწილების ამა თუ იმ ფორმისაგან და ურთიერთგანლაგებისაგან დამოკიდებულებით.

გარდა გამოყენებული ტექნიკური (სამექანიზაციო) საშუალებების კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, კინემატიკური და სხვა მახასიათებლების ოპტიმალური და რაციონალური მნიშვნელობების განსაზღვრა-გაანგარიშებისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის დროს მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისას ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენებაზე და განაპირობებენ მათ ეფექტურობას (სამუშაოების აგროვადებში შესრულება, ნიადაგის ოპტიმალური ტექნობის, მცენარეთა გეგეტაციის შესაბამისად სასუქების შეტანა და ა.შ.).

აგროტექნოლოგიური, ტექნიკური, სამანევრო და რესურსდამზოგ სხვა თვისებათა ოპტიმალური უზრუნველყოფის გათვალისწინებით, ზემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე შეირჩა გაკორდებული ნიადაგების გამაფხვიერებელი ტექნიკური საშუალებების პრინციპული სქემა (ნახ. 1) და დადგინდა მისი ძირითადი კონსტრუქციული პარამეტრები. მანქანის პასიურ და აქტიურ მუშა-


ორგანოთა კონსტრუქციული ფორმები, პარამეტრები და შეთანაშეყობა უზრუნველყოფაზ პომბინირებულობას და წაყვნებული მოთხოვნების გარანტირებულ შესრულებას. ამასთან, მანქანისტები მუშა მომართების სექციური განლაგება (საშუალებას ემუსიურება) ნიადაგების დამუშავებისათვის, ისე ასეთივე მდგომარეობაში არსებული ჩვეულებრივი სახისა სი სავარგულების დამუშავებისათვის (უპირატესად მცირეკონტრურიან ნაკვეთებზე).

მანქანა შედგება ერთი ან ორი სექციისგან, რომელებიც საკიდი სისტემის ტრავერსაზე (არიან მიმაგრებული). თითოეული სექცია წარმოადგენს ჩარჩოს (6), რომელზეც დამაგრებულია ორი ცალი სატეხისმაგვარი ღრმად გამაფხვიერებელი (4), დისკო (5), დანა (7), თითო ცალი საფინის მიერ შექმნილი 0,8...1,0 სმ სიგანის ნაკვალევი, რომელიც 10...15 სმ სიღრმემდე წარმოიქმნება, თავის მხრივ ამცირებს 30...40 მმ სიგანის სატეხისმაგვარი გამაფხვიერებლების კუთრ წინაღობა რომლებიც ნიადაგს აფხვიერებენ (შლიან) 35...40 სმ სიღრმეზე და 40...50 სმ სიგანეზე.



ნახ. 1. მრავალწლიანი ნარგავების რეფთაშორისებში გამკვრივებულ-გაკორდებული ნიადაგების დამუშავებელი კომბინირებული მანქანა.

1 – ფრეზა; 2 – ჯაჭვური გაღატება; 3 – საყრდენი თვალი; 4 – ღრმად გამაფხვიერებელი; 5 – დისკორდებური დამღარავა; 6 – ჩარჩო; 7 – დანა; 8 – საკიდი სისტემის ტრავერსა; 9 – საკიდი სისტემა.



ნახ. 2. საკვეთელის და დისკოს კონსტრუქციული პარამეტრების განხაზღვრის სქემა.

ფრეზა კულტივატორი (1), რომელიც ჯაჭვური გადაცემით (2) აღიძვრება საყრდენი თვლილა (3), ახდენს ნიადაგის ზედა ფქნების 4...6 სმ სიღრმეზე გაფხვი-ერებას. აგროტექნიკური დონის ჩებების შესაბამისად ფრეზა კულტივატორს, რომლის მოდების განი ცვალებადობს 50:60 უფრო ზღვრებში, შეუძლია მინერალური სასუქების ნიადაგში ჩაკეთებაც.

დანისებრი საკვეთელის საერთო სიგრძე (ნახ. 2) განსაზღვრული იქნა ცნობილი ფორმულის მიხედვით / 4 /:

$$L = \frac{H + h - \Delta a}{\sin \beta} + \Delta L, \quad (1)$$

სადაც  $H$  არის მანქანის კორპუსის სიმაღლე კვალის ძირიდან ჩარჩოს თაროს ქვედა წერტილამდე;  $h$  – ჩარჩოს თაროს სიმაღლე, მმ;  $\Delta a$  – მოუჭრელი ნიადაგის სიმაღლე ( $\Delta a = 70 \dots 100$  მმ);  $\beta$  – დანის ჰურელი პირის დახრის კუთხე, რომელიც ცვალებადობს  $\beta = 70 \dots 75^\circ$  ზღვრებში;  $\Delta L$  – დანის დამაგრების კოროდინატა.

დანისებრი საკვეთელის მჭრელი პირის სიმაღლეს ვსაზღვრავთ ფორმულით:

$$L_1 = \frac{a - \Delta a}{\sin \beta} + \Delta L_1, \quad (2)$$

სადაც  $a$  არის დამუშავების სიღრმე;  $\Delta L_1$  – დანის მჭრელი პირის სიგრძის მარაგი ( $\Delta L_1 = 100 \dots 150$  მმ). შესაბამისი გაანგარიშებებით გვაქვს:

$$L = 410 \text{ მმ}; \quad L_1 = 240 \text{ მმ}.$$

დისკოსებური საკვეთელის დიამეტრი  $D$  განისაზღვრება ფორმულით:

$$D = 2 \left( a_1 + \Delta a_1 + \frac{d}{2} \right), \quad (3)$$

სადაც  $a_1$  არის დისკოს სვლის (ჩაღრმავების) სიდიდე. იდება 12...15 სმ ზღვრებში;  $\Delta a_1$  – ველის ჟედაპირის მიკრორელიეფის მარაგი. იდება 1...2 სმ-ის ზღვრებში;  $d$  – დისკოს მორგვის დიამეტრი ( $d = 100$  მმ). ამრიგად  $D = 320$  მმ.

დისკოს სისქეს ვიღებთ მისი დიამეტრის შესაბამისად და შეადგენს:

$$\delta = 0,01D = 3,2 \text{ მმ}.$$

დისკოს მჭრელი პირის ალექსის კუთხე 15...20°-ის ფარგლებშია.

**დასკვნა.** 1. დასაბუთებულია გაკორდებული ნიადაგების რეაბილიტაციისათვის გაუმჯობესებული კონსტრუქციის ტექნიკური საშუალების დამუშავების საჭიროება-მიზანშეწონილობა, შერჩეულია მანქანის პრინციპული სქემა და განსაზღვრულია მისი ძირითადი კონსტრუქციული პარამეტრები. კომბინირებულობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია პასიური და აქტიური მუშაორენების შეთანაწყობის სქემები.

2. მანქანის კომბინირებულობა გარკვეული დონით განაპირობებს მის უნივერსალურობასაც; იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც მრავალწლიანი ნარგავების რიგთაშორისებში გაკორდებული ნიადაგის გაფხვიერება-რეაბილიტაციისათვის, ისე მცირეკონტურიან ფართობებზე მსავს მდგომარეობაში არსებული სახნავ-სათვეს სავარგულების დამუშავებისათვის.

3. პასიური მუშაორენოთი ნიადაგის 35...40 სმ სიღრმეზე დამუშავებით და აქტიური მუშაორენოთი ზედაპირული 5...6 სმ სიღრმეზე გაფხვიერებით მანქანა უზრუნველყოფს გაყამირებულ-გაკორდებული ნიადაგის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება-რეაბილიტირებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბადრიძე და სხვ., (2004), ნიადაგის დამუშავების სამანქანო ტექნოლოგიების ენერგეტიკული შეფასება. საქ. სმენესკო-ს სამეცნიერო ურომათა კრებული. თბილისი, გვ. 66...74.

2. რ. მახარობლიძე, თ. იაშვილი, (2000), სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები. თბილისი, გვ. 199.

3. გ. ტალახაძე, კ. მინდელი, (1980), საქართველოს მაღალმთიანეთის ნიადაგები. თბილისი, გვ. 176.

4. ციმერმანი, (1978), ნიადაგდამამუშავებელი მანქანების მუშაორენები. მოსკოვი, „მაშინოსტროენი“ (რუსულ ენაზე).

5. ციმმერმან M.Z., (1972), Рабочие органы почвообрабатывающих машин. М., Машиностроение, с. 295.



Длительная необработка почв в междурядиях, вызывает их уплотнение и одернение, ухудшение структуры и полное нарушение нормальных условий роста и развития растений.

На основе анализа существующих технических средств, предназначенных для обработки таких почв, с учетом особенностей проблемы, обоснована конструктивная схема усовершенствованного технического средства и определены основные его параметры. Выбраны формы пассивных и активных рабочих органов, их конструктивные параметры компоновки, обеспечивающих комбинированность машины.

Для возвращения в нормальное состояние уплотненной и одуженной почвы машина пассивным рабочим органом производит ее рыхление на глубину 25...40 см и поверхностную обработку активным рабочим органом на глубину 5...6 см. Этим самым обеспечивается сохранение плодородного слоя почвы в зоне развития корневой системы растения и улучшение влаго-воздушного обеспечения на глубине.

### Technical Means for Rehabilitation of Turfed Soils in Intrarow Spaces of Perennial Plantings

N. Javakhishvili, G. Chikviladze (Institute of Mechanization and Electrification of Georgia)  
S. Saatashvili, N. Kapanadze (GSP)

On the basis of the analysis of the existing means intended for processing of such soils, the constructive scheme of advanced mean is proved and its basic parameters are defined. It's chosen the forms of passive and active working organs, the design data and assembling, providing arranging of machines.

Such machines, with the help of passive working organs make soil loosening on the depth of 25-40 sm and surface processing by an active working organ on the depth of 5.6 sm. By this is provided the preservation of a fertile layer of soil in a zone of development of root system of a plant and improvement of moisture-air maintenance in deep zones of distribution of plants' roots.


## მაკილური ძრავას ექსერიმენტული კვლევა

ა. ცერცაძე (ხს)


განხილულია ხასოფლო-ხამურანეთ მოძილური მანქანებისათვის განკუთვნილი ახალი ტიპის მაგნიტურავას მუშაობის პრინციპი. ექსერიმენტული კვლევის ჩასატარებლად აწყობილი იქნა ლაბორატორიულ სტენდი, აგრეთვე გაზომილ იქნა ელექტრული ხილიდები.

**შესავალი.** თანამედროვე, მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება მოითხოვს ახალი, ენომიკურად ეფექტური, ექსპლუატაციაში საიმედო და ეკოლოგიურად სუფთა ავტომატიზებული მიღებილ მანქანების დამუშავებას, რომლებიც აღჭურვილი იქნებან შესაბამისი ძალური ამძღვებით. ამ მოთხოვნებს ძირითად ში პასუხობს მაგნიტური ძრავა, რომლის ხიახლე დაცულია საჭირო ველოს პატენტით [1]. დღეისათვის დასაბუთებულად შერჩეულია აქტიური მასალები [2] და დაზიანებულია ამ ძრავის მაკეტი, ექსერიმენტული კვლევის ჩასატარებლად აიწყო ლაბორატორიულ სტენდი (ნახ.2), რომელშიც მაგნიტური ძრავას  $M$  ლილვზე დატვირთვის მოსადებად გამოყენებულ იქნა  $S_d = 20$  კვა ნომინალური სიმძლავრისა,  $U_{d\text{ნ}} = 230\text{Z}$  ნომინალური ძაბვის და  $n_{d\text{ჩ}} = 1500 \text{ წ/მ}$  ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარის ქვენე Y2-OC-71, IM 1001 ტიპის სამფაზა სინქრონული გენერატორი G. გენერატორი ძრავასთან მექანიკურად მიერთებული იყო ჯაჭვური გადაცემით (გადაცემის რიცხვი i-2, ძ.ქ. გ.  $\eta = 0,95$ ). ექსერიმენტების დროს ხდებოდა ისეთი ელექტრული სიდიდეების გაზომვა როგორიცაა დენი I, ძაბვა U, ელექტრული სიმძლავრე P, გრაგნილების და რეოსტატის აქტიური წინაღობები R<sub>a</sub>, რისოვისაც გამოიყენებოდა მაღალი სიზუსტის კლასის ქონები, თანამდებობის სიდიდეების მნიშვნელობები იმყოფებოდა სკალის 20-90 %-ის ზღვრებში. ანათვლები აიდებოდა ყველა ხელსაწყოდან ერთდროულად. ცდების დროს ბრუნვის სიხშირის გასაზომად უმოიყენებოდა Prova - RM1500 ტიპის სტრობოსკოპიული ტაქომეტრი. ცვლადი დენის წრედში ზომების ჩასატარებლად ჩართული იქნა ვ8022 ტიპის გატმეტრი PW და ამპერმეტრი PA, აგრეთვე ვ8021 ტიპის ვოლტმეტრი PVI. გენერატორის აგზების გრაგნილი მიერთებული იყო  $U_a = 36$  მუდმივი ძაბვის წყაროზე, R<sub>a</sub> რეოსტატის საშუალებით ტარდებოდა გენერატორის ძაბვის  $U_d$  რეალურება. მუდმივი დენის წრედში გაზომვებისათვის გამოყენებულ იქნა M42100 ტიპის ვოლტმეტრი PV2.

მაგნიტური ძრავას ამუშავება ხდება შემდეგი მიმდევრობით [1]:



ნახ. 1. მართვის ელექტრული სქემა




ნახ. 2. ექსპრიმენტული სტუნდის სქემა

ცხრ. 1. ექსპრიმენტული დაანგარიშების შედეგები

ძრავის ბრუნვის სიჩარე, $n_{\text{ძრ}}$	გენერატორის ბრუნვის სიჩარე,	გენერატორის ხაზური ძაბვა, $U$	დენის ძალა, $I$	აქტიური სიმძლავე, $P$	სრული სიმძლავე, $S$	მომენტი, $M$
$\text{წ}^{-1}$	$\text{წ}^{-1}$	კოლტი	ამპერი	კვტ	კვა	ნნ
300	600	90... 93	44	6,6	7	209
400	800	120... 124	45	9,4	9,7	226
500	1000	153... 156	46	12,1	12,5	237
600	1200	186... 189	49	15,4	16	250
700	1400	216... 218	52	19,4	19,7	265

ძირითადი ჩამრთველის ჩართვით ბრუნვას იწყებს მაგნიტურ ძრავაში დაყენებული მცირე სიმძლავრის მუდმივი დენის ძრავა, რომელიც აბრუნებს ცენტრალურ ლილგს, ბრუნვით მოძრაობაში მოღიან ელექტრომაგნიტური ქუროები, რომლებიც ცენტრალურ ლილვზე სისტად არიან დასმულნი. მეორე ჩამრთველის ჩართვით ძაბვა მიეწოდება მაგნიტური ძრავას ელექტრულ სქემას და გადამ-

წოდებს, რომლებიც საჭირო შემთხვევაში გადართავენ ელექტრომაგნიტურ ქუროებს, რის შემდეგ გადაც საჭირო დროს დაბრუნდება მბრუნვავი მაგნიტების დოლი, რომელიც მოდებაშია კერომაგნიტურ ქუროსთან, შეიცვლება მბრუნვავი მაგნიტების პოლარობა სწორხაზობაზე მოძრაობის მიმართ, ე.ი. მოხდება განზიდულ მდგრამარეობაში მყოფი მუდმივი მაგნიტური მიზნების ხოლო მიზიდულ მდგრამარეობაში მყოფი მუდმივი მაგნიტები განიზიდებიან, რის გამოც მუდმივი მაგნიტებთან ბარბაცებით დაკავშირებული მუხლა ლილვები იწყებენ ბრუნვას, მუხლა ლილვან დალოვან ლილვთან დაკავშირებული არას კბილანური გადაცემით. აქედან გამომდინარე, ძალი ლილვზე ჯამდება მუხლა ლილვების ბრუნვის მომენტები. ამუშავების პროცესის დამთავრებულ მდგრამარეობა მირითადი ჩამორთველი, შესაბამისად გამოირთვება მუდმივი დენის ძრავა შეწყდება მაგნიტური ძრავას დალოვანი ლილვის ბრუნვა (ნახ. I). მაგნიტური ძრავას პირველი შეწყდება ხდებოდა  $n=300$  წთ<sup>-1</sup> ბრუნვის სიხშირით, გარდამავალი პროცესების დამთავრების შეწყდება გენერატორის ღუზაზე მიეწყდებოდა ძაბვა  $U=36$  ვ, შედეგად ვდებულობდით მის გამომავალ მუხლებზე სიმეტრიულ ძაბვას და ხაზური ძაბვა იყო  $U=93$  ვ, თითოეულ ფაზაში დენის ძალა  $I=4$  და შესაბამისად სრული სიმძლავრე იყო  $S=UI=4$  კვ. გენერატორის ძალოვანი მხარე დატვირთვულ იყო ქსელში აქტიური წინაღობით  $Z$  ვარსკვლავურად ჩართული. ცდის შედეგად მიღება ანათვლები მოყვანილია № 1 ცხრილის პირველ სტრიქონში.



ნახ. 3. ძრავას ელექტრომექანიკური და შექანიკური მახასიათებლები

შემდეგ ანალოგიური მიმდევრობით ჩატარდა ცდები მაგნიტური ძრავას ბრუნვის სიხშირი  $n_{d\sigma}=400...700$  წთ<sup>-1</sup> დიაპაზონისათვის. მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარდა მაგნიტური ძრავა ლილვზე დაყვანილი მაბრუნი მომენტის გაანგარიშება ფორმულით

$$M = 9550P/\eta n_{d\sigma} \text{ ნა}, \quad (1)$$

სადაც,  $\eta = 0,95$  არის ჯაჭვური გადაცემის მარგი ქმედების კოეფიციენტი. გენერატორის მუდმივი ფაზითარებული აქტიური სიმძლავრე გატმეტრის ანათვლების გათვალისწინებით იანგარიშებოდებოდა ფორმულით

$$P = \sqrt{3} P_b \text{ კვტ}, \quad (2)$$

სადაც,  $P_b$  – ვატმეტრით გაზომილი სიმძლავრეა. ცხრილისა და ანგარიშის მონაცემების საფუძველზე აგებულ იქნა ქსპერიმენტული მრუდები, რომლებიც მოყვანილია მუ-3 ნახაზზე. როგორც მრუდების ანალიზიდან გამომდინარეობს, ბრუნვის სიხშირის განხილულ დიაპაზონში მუნიტური ძრავა მუშაობს თითქმის მუდმივი, ოდნავ მზარდი მომენტით, რომელი იცვლება 120-დან 150 მნ-მდე ზღვრებში, ანუ მომენტის ცვალებადობის დიაპაზონი მყოფებოდა 25%-ის ზღვრებში.

**დასკვნა.** დამუშავებული პროგრამის და კვლევების ფორმულირებული მიზნის საფუძველზე ჩატარებულმა ლაბორატორიულმა ცდებმა დაადასტურა მაგნიტური ძრავას მაკეტის მუშაობის უნარიანობა და საშუალება მოგვცა მოგვეხინა ძრავაში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებზე წარმოდგენილი დაზუსტება. დადგენილ იქნა, რომ მაგნიტური ძრავას მუშაობის შესაბამება მოხსენებს. ამავე დროს, ცდებმა გამოვალინა კონსტრუქციის დასახვეჭად აუცილებელი შემდგომი სამუშაოების მიმართულებაზე. კერძოდ, აუცილებელია სწორხაზობრივად მოძრავი მაგნიტის ზე მკვდარ წერტილში გადამტოდის სწორი დარეგულირება, რადგან მუდმივი მაგნიტების მოძრაობა ზე

და მკვდარ წერტილში აღწევს ნულს, ამავდროულად გადამწოდის სიგნალი უნდა მიეწოდოს ზუბრებად იმ მომენტში, როცა მუდმივი მაგნიტი იმყოფება ზედა მკვდარ წერტილში. ეს სწორხაზობრივ მოძრავი მუდმივი მაგნიტის მოძრაობა არის ნულის ტოლი, რადგან გადამწოდის მუდმივი მაგნიტის მოძრაობის განხერებამდე იწვევს მბრუნავი მაგნიტების დაძრას შედარებით დადგუთხით, რის გამოც მბრუნავი მაგნიტების და სწორხაზობრივ მოძრავი მაგნიტების ცენტრები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც იწვევს ძრავაში ენერგიის დაკარგვას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ცერცვაძე, ქ. ცერცვაძე, გ. ცერცვაძე, (2007), საქართველოს პატენტი “მაგნიტური ძრავა” GE P 2007 4094B, გამოქვეყნებულია საქართველოს ბიულეტენში №8.
2. გ. ცერცვაძე, (2010), მოძილური სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის განკუთვნილი წევის მაგნიტური ძრავისათვის მაგნიტური მასალის შერჩევა. სამ. შრომათა კრებული, ტომი 3№1 (50).
3. Котеленец Н.Ф., Антонов М.В., Кузнецов Н.Л., (2003), Испытания и надежность электрических машин . Москва, "Энергетика", 334стр.

### Экспериментальные исследования магнитного двигателя

Церцвадзе М.Р. (ГГАУ)

Приведены результаты выполненных на специальном нагружочном стенде лабораторных испытаний макета разработанного при участии автора и защищённого патентом Грузии экономичного магнитного двигателя, предназначенного для тягового привода сельскохозяйственных мобильных агрегатов. Результаты испытаний подтвердили работоспособность двигателя при поддержании высоких значений коэффициента полезного действия и коэффициента мощности как в кратковременном так и в продолжительном режимах работы и доказали реальную возможность получения больших моментов вращения на его валу. Механическая характеристика двигателя показывает незначительное изменение момента в пределах 20% при двухкратном увеличении частоты вращения одновременно, необходимость упрощения сложной кинематической схемы и облегчения регулировок определяет направление дальнейших исследований в направлении улучшения показателей надёжности и понижения массо-габаритных показателей.

### Experimental Researches of the Magnetic Engine

M. Tservadze (GSAU)

The results of laboratory researches of the model of the economic magnetic engine, intended for the traction drive of agricultural mobile units, executed on special loading stand are resulted. The engine is developed with the assistance of the author and is protected by the patent of Georgia. The results of the tests have confirmed working capacity of the engine at the maintenance of high meanings of efficiency and electrical power factor both in short-term, and in long modes of operation and have proved real possibility of reception of the big rotation moments on its shaft. The mechanical characteristic of the engine shows minor alteration of the moment within 20 % at the twofold increasing of rotation speed. At the same time, the necessity of simplification of the difficult kinematic scheme and of adjustments defines direction of the further researches for the improvement of reliability indexes and reduction of the weight-dimensional indicators.

## ტერასების ეკონომიკური გენერატორის საკითხების საკითხებისათვის

გ. ბუჩქური, გ. მირუაშვილი ვ. მოთიაშვილი (სსაუ)

განხილულია ფერდობებზე ტერასების შესაქმნელი აქტიურ და პასიურ სამუშაო ორგანოებიანი მანქანების კონსტრუქციები და ტერასის შექმნის ტექნოლოგიები, გაანალიზებულია მათი სამუშაო პროცესი და გამოყენებილია საკლონოანგებები. შემოთავაზებულია ისეთი კონსტრუქციები და ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კროი გაცვით შექმნას ტერასა ისე, რომ მას მიეც სიბანეზე დარჩეს ნიადაგის პუმუსური ფენა. ამასთან შესაძლებელია წლების მანძილზე ქარისა და ნალექებით გამოწვეული ეროზიის შედეგად ქვემოთ ჩამოტანილი პუმუსური ფენა ავიტანოთ თანდათანმდით ზედა ტერასებზე. ამთ შესაძლებელია ზედა ტერასებზე გაფარდოთ პუმუსური ფენის სისქე.

**შეაფალი.** ფერდობზე მოწყობილი ტერასები იცავენ ნიადაგს ჩამოცურებისა და ჩამორეცხისაგან. ამ პროცესს ხელს უწყობს ტერასებზე განთავსებული მცენარეული საფარი, განსაკუთრებით მრავალწლიანი მცენარეების ფენებით სისტემა, რომელიც ამაგრებს ნიადაგს, ხოლო მისი ჟედა ნაწილი კი ამცირებს ქარებით გამოწვეულ ეროზიას. ამით აიხსნება ახალციხის მახლობლად არსებულ ტერასების ფონზე მევენახეობის განვითარება X-XII საუკუნეებში.

ფერდობზე ტერასების ჩვეულებრივი წესით, ხელის იარაღებით, ან არსებული ტერასიორების გამოყენებით ტერასის შექმნისას, საუკუნეების მანძილზე შექმნილი პუმუსური ფენის დიდი ნაწილი, რომელიც ისედაც მცირება ფერდობზე, ქარისა და წყლის ეროზიის გამო უფრო მცირდება, მისი დიდი ნაწილი ირევა არაპუშურ ფენაში და ნაკლებად სასარგებლო ხდება მცენარესთვის. ამას-

თან, ტერასის შექმნას აზრი აქვს 2500 მ ზღვის დონემდე, რათა მცვნარეს ეჭოს ეპულაციის რიოდი [1].

ლიტერატურაში მოყვანილია ექსპერიმენტული ცდების შედეგები იმის შესახებ [2] თუ როგორც შედეგი მოსავლიანობა ტერასაზე, პუმუსური ფენის სისქის პროცენტული რაოდენობის დონის მიხედვით (იხ. ცხრილი 1).


ცხრ. 1. ტერასის მოსავლიანობის თანაფარდობა მასზე პუმუსური ფენის დაყრის სისქის მიხედვით, % -ში

№ №	ვერდობის დახრა % -ში	8-10			12,5			15			20			32	
		1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2
1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
2	რეს ხიგანე ქანობის მხარეს სმ-ში	37	43	50	36,5	41,5	46,5	36	40	45	35	39	42	30	35
3	ტერასაზე დაყრილი პუმუსური ფენი %	44	50	60	42,5	49	57	40	48	54	37,5	47	50	35	42
4	პუმუსური ნიადაგის ფენის მიხედვით მცვნარეთა მოსავლიანობა % -ში	55	65	75	52,5	62,5	70	50	60	65	45	55	60	40	50

ტერასის წარმოქმნისას ძირითადი მნიშვნელობა აქვს მოსაჭრელი გრუნტის მოცულობას  $V_1$ , რომელიც დამოკიდებულია ქანობის საჭის დახრის  $a$  კუთხეზე და შესაქმნელი ტერასის სიგანეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტერასის შექმნისას ქანობის მხარეს იყრება საკმაო დორალენობის მოჭრილი ნიადაგი, რომლითაც წარმოქმნება ფხვიერი ნიადაგის ბუნებრივი ხახულის ტოლი კუთხის ქანობი, როგორც საყრდენი ედევლი.

ტერასის შექმნის პროცესში მოსაჭრელი ნიადაგის მოცულობას  $V_1$  – და ქანობის მხარეს  $d$  დატანილ ფხვიერი ნიადაგის მოცულობას  $V_2$  –  $\theta^3$  შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოვსახულობით  $V_1K=V_2$ , სადაც  $k$  – კოეფიციენტია და მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია ნიადაგის გაფხვიერების ხარისხზე. რაც  $m$  ტერასის გაფხვიერების ხარისხი, მით დიდია  $k$ -ს მნიშვნელი და პირიქით. ყველა შემთხვევაში  $K>1$ , ე. ი.  $V_1 < V_2$ .

დავუშვათ, ტერასის შექმნისას ფერდობზე საშუალოდ გვაქვს  $d$  სისქის კულტურულ ნიადაგის ფენა (სურ. 1) და ფერდობის დახრის  $a$  კუთხე,



ნახ. 1. ქანობი და მისი დამახასიათებელი სიდიდეები

მაშინ ტერასიორების შემდეგ ტერასის ზედაპირზე გვრჩება ნიადაგის სტრუქტურული ფენის სიგანე, რომლის სიდიდე გამოითვლება ტოლობით

$$b = ds \sin \alpha \cos \alpha$$

ფერდობზე როცა  $a = 15^\circ - 30^\circ$ , მაშინ შესაბამისად  $b \approx (4,25 - 2,3)d$ , რადგან  $d$  მცირე სიდიდე  $d = 0,05 - 0,30$  მ; ამიტომ, არც  $b$ -ს მნიშვნელობაა დიდი ტერასის სიგანესთან შედარებით, რაც ერთერთ ძირითად ნაკლად გვევლინება ცნობილი ტექნოლოგიებით და ტექნიკური საშუალებებით ფერდობის ტერასიორებისას.

პრობლემის გადაწყვეტის გზის დღისათვის ფერდობზე ტერასის შექმნა, განსაკუთრებულად თანამედროვე მძლავრი ტექნიკური საშუალებებით, არ წარმოადგენს დიდ პრობლემას, მითუმექანიზმაშინ, როცა მცირეა (2,5-3 მეტრია) ტერასის სიგანე.

ტერასა შეიძლება შექმნას როგორც პასიური, ისე აქტიური სამუშაო ორგანოებით. პასიური სამუშაო ორგანოებით: გუთნითა და ბულდოზერული დანით – საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვ. ჭიპაშვილის მიერ დამუშავდა და შეიქმნა ტერასიორი [3], რომელიც გუთნის მიერ ფერდობის მხარეს გადაბრუნებულ ბელტებს ბულდოზერული დანით გადაადგილებს ქანობის მხარეს და წარმოქმნება ტერასა, რომლის ზედაპირზე გვრჩება ძირითადად უსტრუქტურო ნიადაგი.

ფერდობზე ტერასის მიღებისათვის აქტიური სამუშაო ორგანოები ფრონტალურად არიან მოსაჭრელი ნიადაგის მიმართ განლაგებული. ასეთი სამუშაო ორგანოები დამუშავდა იმავე სამუშაოერო კვლევით ინსტიტუტში აკადემიკოს ვ. მეტრეველის ხელმძღვანელობით – შემცირებული სამუშაო ორგანო და ტ.მ.კ-ის ა. ვაშალომიძის ხემძღვანელობით – ტრაქტორის მუხლუხაზე დამაგრებული

შერელი დანებიანი სამუშაო ორგანო [4]. ორივე სამუშაო ორგანო ფერდობზე ახდენს ნიადაგის გამოჭრას გარკვეულ სიმაღლეზე თარაზულ სიბრტყეში და მოჭრილი ნიადაგი გადააქვს ქანობის მსარეს. იმ შემთხვევაში, თუ ქანობის კუთხე დიდია, სამუშაო ორგანოს თავზე ფერდობის რჩება გარკვეული კონუსური კვეთის მოუჭრელი ნიადაგი, რომელიც სამუშაო ორგანოს ფაკლის შემდეგ ჩამოინგრევა და მოეფინება შექმნილ ტერასს.


პასიური და აქტიური ტერასიორების ნაკლია:

1. მიმდინარეობს ჰუმუსური ფენის გადაადგილება ქანობის მიმართულებით;
2. ტერასის ზედაპირი ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარულია არაჰუსური ფენით;
3. ტერასიორის ნაწილი გაუფხვიერებელია;
4. ქანობის რელიეფის ცვალებადობა ზემოქმედებას ახდენს ტერასის ზედაპირის განლაგებაზე პორიზონტის მიმართ;

ტექნიკურ პროგრესთან ერთად იზრდება ტრაქტორების ენერგო-აღჭურვილობა, რაც შესაძლებლობა იძლევა შევქმნათ კომბინირებული აგრეგატები და ერთდროულად, ერთი გავლით შევასრულოთ რამდენიმე ოპერაცია (ნიადაგის ღრმად გაფხვიერება, მოხვნა, ბელტის დაშლა და ნიადაგის მომზადება დასათესად, დათესვა და ა. შ.). ასეთი დიდი ენერგოაღჭურვილობის ტრაქტორი ფერდობზე ტერასების შექმნისათვის შესაძლებლობას იძლევა აღმოფხვრათ ზემოთ დახასიათებული ტერასიორების ნაკლოვანებები, რისთვისაც ჩვენს მიერ დამუშავდა ტერასიორის ახალი პრინციპები სქემა [5, 6]. იგი აღჭურვილია პასიური სამუშაო ორგანოებით (სურ. 2, 3, 4, 5), რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ არა ერთჯერადად, არამედ მრავალჯერადად.

ნახ. 2. ტერასიორის საერთო სქემა გვერდნედში.

1. ტრაქტორის საკადი სისტემა, 2. ტრაქტორის საკადი სისტემა, 3. ტერასიორის ჩარჩო, 4. პიდროცილინდრი, 5. ბულდოზერული დანა, 6. გამაფნეირებელი დანა, 7. ვერტიკალურად მჭრელი დანა, 8. ბრტყლად მჭრელი დანა, 9. დახრილი დაფა, 10. ტრანსპორტიორი, 11. ტერასიორის საყრდენი თვალი, 12. მაკონირებელი თვალი, 13. პიდროვამანაწილებელი, 14. მაღალი წნევის ელისტიური შილგამტარები, 15. სახსრული შეერთება, 16. შილგამტარები.



მოცემული კონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა საუკუნეების მანძილზე ნიადაგის ეროზიით ქნობის მიმართულებით ჩამოტანილი ჰუმუსური ნიადაგის ფენა ავიტანოთ ზედა ტერასებზე და მოვასწოროთ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტერასების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით. ამასთან, წარმოდგენილი ტერასიორი აღჭურვილია ავტომატური მართვით, რომელიც შესაძლებელს ხდის რელიეფის გარკვეულ ინტერვალში ცვალებადობის მიხედავად, მივიღოთ სწორი რელიეფის ტერასი. აღნიშნული შესაძლებელს ხდის ჩამორეცხილ ტერასებზე ტერასიორის გავლისას მივიღოთ სურველი პროფილის ტერასა.



წარმოდგენილი ტერასიორი მუშაობს შემდეგნაირად: წინასწარ ტერასიორის მაკოპირებელ ფლები 12 ტერასიორის ჩარჩოს 3 მიმართ ისე განალაგდებიან (სურ. 3 და 4), რომ ბრტყლად მჭრელი დანა 8 განთავსდეს ნიადაგის პარალელურად (ნახ. 3), მიუხედავად მისი დახრილობისა. სამუშაო ორგანოების – გამაფხვიერებელი დანების 6, ვერტიკალურად მჭრელი დანის 7, ბრტყლად მჭრელი დანის 8, ბულდოზერული დანების 5, 20 და 21 მდებარეობის დარეგულირების შემდეგ, ტრაქტორით ტერასიორი გადაადგილდება ფერდობის განივად, რომლის დროსაც მჭრელი და გამაფხვიერებელი დანები თანდათან ჩარდმავდებიან ნიადაგში. ვერტიკალურად მჭრელი დანები 7 სტრუქტურულ ფენას მოჭრის ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო დანებს 7 მორის მოთავსებული ბრტყლად მჭრელი დანა 8 ვერტიკალურად მოჭრილ ნიადაგს მოჭრის ქანობის პარალელურ სიბრტყეში. ორივე სიბრტყეში მოჭრილი ნიადაგი დახრილი დაფის 9 გავლით გადადის ტრანსპორტიორზე 10, რომელსაც იგი ქანობის გასწვრივ ზედა მხარეს თანდათან გადააქვს მზარდი კუთხით, რაშიც ეხმარება მიმართველები 16. მიმმართველები 16 განლაგებულია ვერტიკალურად მჭრელი დანების 7 უკან და მათ გასწვრივა ჩარჩოზე 3 დამაგრებული. ტრანსპორტიორის 10 მიერ ზემოთ ატანილი კულტუ-

